

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის**

ბრძანება *****

___/___/___

ქ. თბილისი

**„ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორის მიერ წამლის სააგენტოსთვის საბითუმო და
საცალო რეალიზაციის დაწყებისა და დასრულების შესახებ შეტყობინების ფორმისა და
წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 2016 წლის 20 ივლისის №01-28/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის
შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორის მიერ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო
რეგულირების სააგენტოსთვის საბითუმო და საცალო რეალიზაციის დაწყებისა და დასრულების
შესახებ შეტყობინების ფორმისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 20 ივლისის №01-28/ნ ბრძანებაში (
www.matsne.gov.ge; 21/07/2016; 470200000.22.035.016394) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებას 2² პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2³ და 2⁴ პუნქტები:

„2³. ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორი ვალდებულია, დააკმაყოფილოს საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტრიბუციო
პრაქტიკის (GDP) სტანდარტი, 2022 წლის 1 იანვრიდან.

2⁴. გარდამავალ ეტაპზე, 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე, სამინისტროს სახელმწიფო
კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - წამლის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) უფლებამოსილია,
საბითუმო რეალიზატორის მოთხოვნისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე, უზრუნველყოს
საბითუმო რეალიზატორის სამინისტროს მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტრიბუციო
პრაქტიკის (GDP) სტანდარტისადმი შესაბამისობის დადგენა და, შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში,
GDP -ის სერტიფიკატის გაცემა.“.

**2. ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის (ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო და საცალო
რეალიზაციის დაწყებისა და დასრულების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის
სააგენტოსთვის შეტყობინების წესი) მე-3 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹
პუნქტი:**

„2¹. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის
შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს საბითუმო/საცალო რეალიზატორის ამოღებას ფარმაცევტული
პროდუქტის რეალიზატორების რეესტრიდან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.